პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბოლშევიკური კადრებისათვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დღიური ორგანო

შაბათი
1
მაისი
1937 წ.
№ 14 (101)
ფასი 10 კაპ.

1 მაისი

გაუმარჯოს 1 მაისს — საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ძალების საბრძოლო დათვალიერებას

„ჩვენ მშვიდობიანობის მომხრე ვართ, და ამ მშვიდობიანობის საქმეს ვიცავთ. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზად ვართ დარტყმით უპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას".

ს ტ ა ლ ი ნ ი

„ჩვენში ძირითადათ უკვე განხორციელებულია კომუნიზმის პირველი ფაზა, სოციალიზმი".

ს ტ ა ლ ი ნ ი

* * *

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)—ს. ს. რ. კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს.

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, უძლეველ წითელ არმიას—ს. ს. რ. კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის მძლავრ ბურჯს, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა ერთგულ დარაჯს.



ბრძოლისა და გამარჯვების დღესასწაული

პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებათა გენიოსი და სარდალი ამხანაგი **ლენინი** 1897 წელს მეფის საპყრობილეში ჯდომის დროს, საპირველმაისო მოწოდებაში სწერდა: „ყოველ წლობით პირველი მაისის წინ ჩვენი მტრები, დაწყებული წვრილი მექარხნეებიდან და გათავებული მძლავრ მეფეებით იწყებენ ცახცახს. ისინი გრძნობენ, რომ პირველი მაისის ყოველ წლიური დღესასწაული არის მუშათა ბატალიონების მანევრები და აღრიცხვა, რომ ის არის ცულის დარტყმა იმ ხის ტოტზე, რომელზედაც ისინი სხედან, რომ ის არის იმ ჩაქუჩის დარტყმა, რომელიც მათ კუბოს სახურავს აჭედავს"

დიახ! პირველი მაისი რევოლუციონურ ძალების დათვალიერების და პროლეტარიატის გამარჯვებისა და განთავისუფლების დღეა.

პირველი მაისი, როგორც პროლეტარიატის საერთაშორისო დღესასწაული, დაწესებული იქნა საფრანგეთის დიდი რევოლუციის 100 წლის თავზე 1889 წლის 14 ივლისს და მას შემდეგ მსოფლიო პროლეტარიატი ყოველ წლიურად გამოდის პირველი მაისის დღესასწაულზე და ახდენს ძალთა მობილიზაციას კომუნისტური ინტერნაციონალის და ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით კაპიტალისტური წყობილების დამხობის და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარების მიზნით.

პირველი მაისი საბჭოთა კავშირში გამარჯვებული მუშათა კლასის და ყველა მშრომელთა დიდი დღესასწაულია.

აქ, ჩვენს ქვეყანაში, სამუდამოდ გაიმარჯვა სოციალიზმმა, საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები. ჩვენში მუშათა კლასი ყველა მშრომელებთან ერთად ფლობს მთელი ქვეყნის ყოველგვარ სიმდიდრეს. მაგრამ სოციალისტური სამშობლოს და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის დაუძინებელი მტრები, ფაშისტები და ტროცკისტები ცდილობენ შეაჩერონ მუშათა კლასის ეს ძლევამოსილი წინსვლა. თანამედროვე ტროცკიზმი არის პროფესიულ „მავნებელთა, დივერსანტთა, მზვერავთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდა, ბანდა მუშათა კლასის დაუძინებელი მტრებისა, რომლებიც მოქმედებენ უცხოეთის სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების დაქირავებით" (სტალინი).

რევოლუციური ბოლშევიკური სიფხიზლის ამაღლების შედეგად გამომჟღავნებულ იქნა ტროცკისტულ ზინოვიევური მემარჯვენე ბანდიტების და შპიონების მთელი საზიზღარი მოღალატური საქმიანობა. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა გაანადგურეს გერმანელ, იაპონელ ფაშისტების ეს აგენტები და შპიონები. ანადგურებენ რა ხალხის მტრების, ტროცკისტულ მემარჯვენე ქვეწარმავალთა უკანასკნელ ნაშთებს, საბჭოთა კავშირის მშრომელები კიდევ უფრო მტკიცედ ირაზმებიან კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის დიდი **სტალინის** გარშემო.

არავითარ ძალას არ შეუძლიან შეაჩეროს საბჭოთა კავშირის მშრომელთა ძლევამოსილი წინმსვლელობა სოციალიზმის გზით. „ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი მტრები, არც შინაური არც გარეშენი, ჩვენთვის საშიში არ არის მათი გამოლაშქრებანი, ვინაიდან ჩვენ მათ მომავალში ისევე დავამარცხებთ, როგორც ვამარცხებთ მათ აწმყოში, როგორც ვამარცხებდით მათ წარსულში". (სტალინი)

მაშინ, როდესაც ფაშისტები სდევნიან თავიანთი ქვეყნიდან უდიდეს მეცნიერებს, მაშინ როდესაც ისინი ქვემეხებითა და გამანადგურებლებით ანგრევენ და სწვავენ ესპანეთის ხალხის უძველეს კულტურულ ძეგლებს, ამ დროს საბჭოთა კავშირში ჰყვავის ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტური, ჰყავის ხალხის შემოქმედება, ჰყვავის მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და ტექნიკა.

ამიტომაა, რომ დღეს ყოველი ნამდვილი მეცნიერი, ნამდვილი შემოქმედი, ხელოვანი, არქიტექტორი, სახალხო მასწავლებელი, ინჟინერი, ექიმი, მოსწავლე და ყველა მოწინავე, მუშებთან, სტახანოველებთან და კოლმეურნეებთან ერთად საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და მსოფლიო ხალხთა ბელადის, ჩვენი მამის და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** ირგვლივ სდგას და იბრძვის სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

გაუმარჯოს პირველ მაისს!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციის მესაჭეს ამხანაგ **სტალინს**.

* * *

1-ლი მაისი

მზემ სხივები მთის წვერს სტყორცნა,
გაიფურჩქნა ხალისი.
დროშები ტყეთ მოგიზგიზებს,
პირველია მაისი.

მერცხალი თავს დაგვჭიკჭიკებს,
კრიმანჭულს სტვენს სალამური;
ყველას ათბობს და ახარებს,
ეს ცხოვრება საამური.

გაზაფხულის მზის სხივთ კონამ,
მინდვრ-ველებს დაურბინა,
ქარხნის მუშებს ჩაეკონა
პლანტაციებს გაუცინა.

ახავერდდა, აფერადდა,
ეს ცხოვრება საამური,
გაიშალა, გაიზარდა,
ერთგულება, სიყვარული.

საამური ცხოვრება გვაქვს,
ჩვენ გვეკუთვნის ჩვენი ბედი.
წინამძღოლად **სტალინი** გვყავს,
ამ ცხოვრების გამომჭედი.

გაუმარჯოს ჩაგრულთ მოძმეს,
გაუმარჯოს პირველ მაისს!
გაუმარჯოს ხალხთ საყვარელს,
ჩვენს დიდ ბელადს, ჟრუჟვ სტალინს.

პრ. ჩიქვინიძე
ფილ. ფაკ. II კურსის სტუდენტი

გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინის დიად უძლეველ დროშას, გაუმარჯოს ლენინიზმს!

პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლუციაში

პეტროგრადში აპრილის 3-ს ღამით ჩამოვედი და, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემის სახელით შემეძლო გამოვსულიყავი აპრილის 4-ს მოხსენებით რევოლუციონური პროლეტარიატის ამოცანების შესახებ. განვაცხადე ისიც, რომ საკმაოდ მომზადებული არ ვიყავი.

ერთად-ერთი, რითაც შემეძლო შემემსუბუქებინა შრომა ჩემთვის — და **კეთილსინდისიერი ოპონენტებისათვისაც**, — იყო წერილობითი თეზისების დამზადება. ეს თეზისები წავიკითხე და მათი ტექსტი ამხ. წერეთელს გადავეცი. წავიკითხე ძალიან ნელა და ორჯერ: პირველად ბოლშევიკების კრებაზე, ხოლო შემდეგ — ბოლშევიკების და მენშევიკების კრებაზე.

თეზისები

ვბეჭდავთ ამ ჩემს პირად თეზისებს, რომლებსაც სულ მოკლე განსამარტებელ შენიშვნებს ვურთავ; ეს შენიშვნები ბევრად უფრო ვრცლად მოხსენებაში იყო განვითარებული:

1. ჩვენს დამოკიდებულებაში ომისადმი, რომელიც რუსეთის მხრით ლვოვის და კომპ. ახალი მთავრობის დროსაც, ამ მთავრობის კაპიტალისტური **ხასიათის გამო, უეჭველად კვლავ** ყაჩაღურ იმპერიალისტურ ომად რჩება, დაუშვებელია რაიმე მცირეოდენი დათმობაც კი „რევოლუციონურ თავდამცველობისათვის" („ობორონჩესტვო").

რევოლუციონურ ომს, რომელიც ჭეშმარიტად გაამართლებდა რევოლუციონურ თავდაცვას, რევოლუციონური პროლეტარიატი შეიძლება დაეთანხმოს მხოლოდ შემდეგ პირობებში: ა) თუ ძალა-უფლება გადავა პროლეტარიატისა და მისი მიმყოლი გლეხობის ულარიბესი ნაწილის ხელში; ბ) თუ უარყოფილი იქნება ყოველგვარი ანექსია საქმით და არა სიტყვით; გ) თუ მთლად გაწყვეტილი იქნება კავშირი კაპიტალის ყოველგვარ ინტერესებთან.

ვინაიდან რევოლუციონური თავდამცველობის **მასობრივ წარმომადგენელთა ფართო** წრეებს ამოქმედებთ უეჭველი **კეთილსინდისიერება**, ვინაიდან ისინი იღებენ ომს მხოლოდ **როგორც აუცილებლობას და არა როგორც დაპყრობის საშუალებას, ვინაიდან ეს** მასები მოტყუებულნი არიან ბურჟუაზიის მიერ, **აუცილებლად საჭიროა** საფუძვლიანად, დაჟინებით და მოთმინებით ავუხსნათ მათ მათი შეცდომა, განვუმარტოთ შეუწყვეტელი კავშირი კაპიტალსა და იმპერიალისტურ ომს შორის, **დავუმტკიცოთ, რომ კაპიტალის** დაუმხობლად **შეუძლებელია** ომი დამთავრდეს ჭეშმარიტი დემოკრატიული, ძალდაუტანებელი ზავით.

ამ შეხედულების პროპაგანდის ფართოდ მოწყობა მომქმედ ჯარში.

დაძმობილება.

2. რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ განვიცდით რევოლუციის პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპისაკენ **გარდამავალ** ხანას: პირველმა ეტაპმა, **პროლეტარიატის** ნაკლები ცნობიერებისა და შეუკავშირებლობის მეოხებით ძალაუფლება ბურჟუაზიას არგუნა; **მეორე** ეტაპმა ხელისუფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის ულარიბეს წრეებს.

ამ გადასვლას ახასიათებს, ერთის მხრით ლეგალობის მაქსიმუმი (რუსეთი **ამჟამად** მეომარ ქვეყნებში ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყანაა), მეორეს **მხრით, მასებზე ძალადობის უქონლობა** და, დასასრულ, ამ მასების შეუგნებე**ლი და გულუბრყვილო** ნდობა კაპიტალისტების მთავრობისადმი, რომელიც ზავის და სოციალიზმის ყველაზე უარესი მტერია.

ეს თავისებურება მოითხოვს ჩვენგან უნარს შევეგუოთ პარტიული მუშაობის **განსაკუთრებულ** პირობებს პროლეტარიატის იმ უსწოროდ ფართო მასებში, რომელთაც ეს არის ახლა გამოიღვიძეს პოლიტიკური ცხოვრებისათვის.

3. არავითარი მხარის დაჭერა დროებითი მთავრობისათვის. განმარტება იმისა, რომ სრული სიცრუეა ყველა მისი დაპირება, განსაკუთრებით ის დაპირება, რომელიც ანექსიაზე ხელის აღებას შეეხება. მხილება და არა დაუშვებელი, ილიუზიების მთესველი „მოთხოვნა" იმისა, რომ ეს მთავრობა, კაპიტალისტების მთავრობა, **აღარ იყოს** კაპიტალისტური მთავრობა.

4. აღიარება ფაქტისა, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოების უმრავლესობაში ჩვენი პარტია წარმოადგენს უმ**ცირესობას, და ჯერჯერობით სუსტ უმცირესობას** იმ **ბლოკის წინაშე**, რომელშიაც შედის ყველა წვრილ-ბურჟუაზიული, **ოპორტუნისტული, ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ მყოფი და ამ გავლენის პროლეტარიატზე გადამტანი ელემენტი, დაწყებული სახალხო სოციალისტებით, სოც.-რევოლუციონერებით და გათავებული საორგანიზაციო კომიტეტით (ჩხეიძე, წერეთელი), სტეკლოვით და სხვა.**

უნდა აეხსნას მასებს, რომ მუშათა დეპუტატების საბჭო **ერთად-ერთი შესაძლებელი** ფორმაა რევოლუციონური მთავრობისა და ამიტომ, ვიდრე ეს მთავრობა ბურჟუაზიის გავლენას განიცდის, ჩვენს ამოცანას უნდა შეადგენდეს მხოლოდ მოთმენით, სისტემატიურად, დაჟინებით, განსაკუთრებით კი მასების პრაქტიკულ საჭიროებასთან შეგუებით, **განმარტება** მათი შეცდომების და ტაქტიკისა.

ვიდრე ჩვენ უმცირესობას წარმოვადგენთ, ვაწარმოებთ კრიტიკას და შეცდომების ახსნა-განმარტებას და იმავე დროს ვქადაგებთ მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი თავიანთ შეცდომებს.

5. პარლამენტარული რესპუბლიკა კი არა — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ სახელმწიფოში თავიდან ბოლომდე. მოსპობა პოლიციის ჯარის მოხელეობისა *).

ყველა მოხელეს დაენიშნოს ჯამაგირი არა უმეტეს კარგი მუშის შრომის საშუალო ხელფასისა; ყველა მოხელეს არჩევა და გადაყენება ყოველ დროს.

6. აგრარულ პროგრამაში სიმძიმის ცენტრის გადატანა მოჯამაგირეთა დეპუტატების საბჭოებზე.

მემამულეთა მთელი მიწის კონფისკაცია.

ნაციონალიზაცია სახელმწიფოში **მთელი** მიწისა, რომელიც უნდა გადავიდეს მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოების განკარგულებაში. გამოყოფა ულარიბესი გლეხების დეპუტატთა საბჭოებისა. ყოველი მსხვილი მამულისაგან (დაახლოებით 100-დან 300 დესეტინამდე, ადგილობრივ დაწესებულებათა დადგენილებით) შექმნა სამაგალითო მეურნეობისა მოჯამაგირეთა დეპუტატების კონტროლის ქვეშ და საზოგადოებრივი ხარჯით.

7. სახელმწიფოში არსებული ყველა ბანკის შეერთება, მათგან ერთი ნაციონალური ბანკის შექმნა და მისი მუშათა დეპუტატების საბჭოების კონტროლის ქვეშ დაყენება.

8. ჩვენი **უშუალო** მიზანია არა სოციალიზმის „შემოღება", არამედ გადასვლა დაუყოვნებლივ პროდუქტების საზოგადოებრივ წარმოებისა და განაწილების **კონტროლზე** მუშათა დეპუტატების საბჭოების მხრივ.

9. პარტიული ამოცანები:

ა) პარტიის ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევა;

ბ) პარტიის პროგრამის შეცვლა: უმთავრესად:

1) იმპერიალიზმსა და იმპერიალისტურ ომზე;

2) სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაზე და ჩვენი მოთხოვნა „სახელმწიფო-კომუნის" შესახებ **).

3) მოძველებული პროგრამა — მინიმუმის შესწორება;

გ) პარტიის სახელის გამოცვლა ***).

10. ინტერნაციონალის განახლება.

რევოლუციონური ინტერნაციონალის, **სოციალ-შოვინისტებისა** და „ცენტრის" მოწინააღმდეგე ინტერნაციონალის დაარსების ინიციატივა ****).

რათა მკითხველმა გაიგოს, თუ რატომ გავუსვი ხაზი განსაკუთრებით, როგორც იშვიათ გამონაკლისს, კეთილსინდისიერი ოპონენტების „შემთხვევას", გთხოვთ შეადაროთ ამ ჩემ თეზისებს ბატონ გოლდენბერგის შემდეგი პასუხი: ლენინმა „რევოლუციური დემოკრატიის წრეში აღმართა სამოქალაქო ომის დროშა" (ციტატა მოყვანილია ბ-ნ პლეხანოვის „ედინსტვო"-ში 69, № 5).

ხელი-ხელ საგოგმანო მარგალიტია არა?

მე ვწერ, ვკითხულობ, ვღეჭავ შემდეგს: „ვინაიდან რევოლუციონური თავდამცველობის **მასობრივ** წარმომადგენელთა **ფართო** წრეებს ამოქმედებთ უეჭველი კეთილსინდისიერება... ვინაიდან **ეს მასები მოტყუებულნი არიან ბურჟუაზიის მიერ, საჭიროა განსაკუთრებით** საფუძვლიანად, მოთმინებით და **დაჟინებით აუხსნათ მათ მათი შეცდომა**".

ხოლო ბურჟუაზიის რიგებიდან გამოსული ვაჟბატონები, რომლებიც თავიანთ თავს სოციალ-დემოკრატებს უწოდებენ და რომლებიც **არ** ეკუთვნიან თავდამცველების არც **ფართო** წრეებს, არც **მასობრივ** წარმომადგენლებს, წარბშეუხრელად ასე ამახინჯებენ ჩემს შეხედულებას: „აღმართულია (!) სამოქალაქო ომის დროშა (!) (ამაზე ერთი სიტყვაც არაა ნათქვამი თეზისებში, არ ყოფილა არც ერთი სიტყვა მოხსენებაში) რევოლუციონური დემოკრატიის წრეშიო (!!)". ეს რა არის? რით განსხვავდება ეს ყოველივე „რუსკაია ვოლიას" პოგრომული აგიტაციიდან?

მე ვწერ, ვკითხულობ, ვღეჭავ შემდეგს: „მუშათა დეპუტატების საბჭოები **ერთად-ერთი შესაძლებელი** ფორმაა რევოლუციონური მთავრობისა და ამიტომ ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს მხოლოდ სისტემატიურათ, მოთმინებით, დაჟინებით, განსაკუთრებით კი მასების პრაქტიკულ საჭიროებასთან შეგუებით **განმარტება** მათი ტაქტიკის შეცდომებისა"...

ერთი ჯურის ოპონენტები ჩემს შეხედულებას გადმოგვცემენ რევოლუციონური დემოკრატიის შორის სამოქალაქო ომისაკენ მოწოდებად!!

მე თავს ვესხმოდი დროებით მთავრობას იმისთვის, რომ მან არ დანიშნა არც მოკლე, არც საზოგადოდ რაიმე ვადა დამფუძნებელი კრების მოწვევად, რომ ეს მთავრობა კმაყოფილდება დაპირებებით. მე ვამტკიცებდი, რომ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების **გარეშე** დამფუძნებელი კრების მოწვევა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, რომ მისი წარმატება შეუძლებელია მეთქი.

მაწერენ კი ისეთ შეხედულებას, ვითომ წინააღმდეგი ვიყო დამფუძნებელი კრების სასწრაფო მოწვევისა!!!

მე ამას „ბოდვას" ვუწოდებდი, რომ ათეული წლების პოლიტიკურ ბრძოლას არ ესწავლებინა ჩემთვის ვუყურო ოპონენტის კეთილსინდისიერებას, როგორც გამონაკლისს.

ბ-მა პლეხანოვმა თავის გაზეთში ჩემს სიტყვას „ბოდვა" უწოდა. კეთილი და პატიოსანი, ბ-ნო პლეხანოვ! მაგრამ აბა დააკვირდით, რამდენად ტლანქი, უხეში და მიუხვედრელი ხართ თქვენ პოლემიკაში. თუ მე მთელი **ორი** საათის განმავლობაში „ვბოდავდი", როგორ ითმენდა ამ „ბოდვას" რამდენიმე ასეული მსმენელი? შემდეგ რათ დაუთმო თქვენმა გაზეთმა ამ „ბოდვას" მთელი ერთი სვეტი? არა, უხეიროდ, ძალიან უხეიროდ, მოგივიდათ.

რა თქმა უნდა, გაცილებით ადვილია იყვიროთ, ილანძღოთ, იბღავლოთ, ვიდრე თავი შეიწუხოთ და მოგვითხროთ, განგვიმარტოთ და გაიხსენოთ, **როგორ** მსჯელობდენ მარქსი და ენგელსი 1871, 1872, 1875 წლებში პარიზის კომუნის გაკვეთილებზე და იმაზე, თუ **როგორი** სახელმწიფო ესაჭიროება პროლეტარიატს.

ყოფილ მარქსისტს ბ-ნ პლეხანოვს არ სურს, ალბათ, მარქსიზმის გახსენება.

მე მოვიყვანე სიტყვები როზა ლუქსემბურგისა, რომელმაც 1914 წელს, აგვისტოს 4-ს **გერმანიის** სოციალ-დემოკრატიას „აყროლებული ლეში" უწოდა... ბ-ნნი პლეხანოვები, გოლდენბერგები და კომპ. კი „ნაწყენი არიან"... ვის მაგიერ? **გერმანელი** შოვინისტების მაგიერ, რომელთაც შოვინისტები ვუწოდე!

გზა კვალი აებნათ რუსეთის საცოდავ სოციალ-შოვინისტებს, სიტყვით სოციალისტებს, საქმით კი შოვინისტებს.

ნ. ლენინი

„პრავდა", № 26, 1917 წ.

---

*) ე. ი. მუდმივი ჯარის ნაცვლად **შემოღება ხალხის** საყოველთაო შეიარაღებისა.

**) ე. ი. ისეთი სახელმწიფოსი, რომლის პირველი სახე პარიზის კომუნამ მოგვცა.

***) ნაცვლად „სოციალ-დემოკრატიისა", რომლის ოფიციალურმა ბელადებმაც **მთელ** მსოფლიოში გასცეს სოციალიზმი და მიემხრნენ ბურჟუაზიას („ობორონცები" და მერყევი „კაუცკიანელები"), უნდა ვუწოდოთ კომუნისტური პარტია.

****) „ცენტრის" სახელით ინტერნაციონალურ სოც.-დემოკრატიაში ცნობილია ის მიმდევრობა, რომელიც ქანაობს შოვინისტებსა („ობორონცებსა") და ინტერნაციონალისტებს შორის სახელდობრ: კაუცკი და კომპ. გერმანიაში, ლონგე და კაპ., საფრანგეთში, ჩხეიძე და კომ. რუსეთში, ტურატი და კომპ. იტალიაში, მაკდონალდი და კომპ. ინგლისში და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) თ. ს. უ. პირველადი პარტორგანიზაციის პარტკომის საანგარიშო-საარჩევნო კრება

13 აპრილს შედგა ს. კ. პ. (ბ) თ. ს. უ. პირველადი პარტორგანიზაციის დახურული კრება, რომელზედაც მოსმენილი იქნა საქ. კ. პ. (ბ) თ. ს. უ. პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. **ხობუას** საანგარიშო მოხსენება.

მომხსენებელი შეჩერდება უმთავრესად იმ დეფექტებზე, რომლებიც თ. ს. უ. პარტორგანიზაციის და მთლიანად უნივერსიტეტის მუშაობას ახასიათებს და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ცეკას პლენუმის მიერ მხილებული და გამომჟღავნებული შეცდომები, პარტიულ პოლიტიკურ მუშაობის დარგში, მთლიანათ ეხება და ახასიათებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ადგილი ჰქონდა პარტიული წესდების და შინაპარტიული დემოკრატიზმის დარღვევის აღმაშფოთებელ ფაქტებს. მაგ. ზოგიერთი ფაკულტეტის პარტორგები დანიშნული იყვნენ პარტიული კომიტეტის მიერ; არ ხდებოდა ანგარიშგება, და სხვ. კიდევ მეტი, პარტიულმა კომიტეტმა 3 წლის განმავლობაში გამოიცვალა 4 მდივანი და ამათგან არც ერთს პარტორგანიზაციისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია. (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ა/წ. თებერვლის საანგარიშო მოხსენებას). პარტიული კომიტეტის 11 წევრიდან 9 წევრი კოოპტაციის წესით იყო შეყვანილი პარტიულ კომიტეტის შემადგენლობაში, რაც პარტ-წესდების და შინაპარტიული დემოკრატიის აშკარა დარღვევას ნიშნავს. დემოკრატიზმი არა ნაკლებად დარღვეულია პროფკავშირის და კომკავშირის ორგანიზაციაში, რაც ხელს უშლის მასებს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნებში.

ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა სუსტად ტარდებოდა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კრიტიკის ჩახშობის ცდებსაც.

ამხ. ხობუამ თავის მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პარტიულ აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას, პარტდისციპლინის დაცვას ახალ წევრთა მიღებას, თანამგრძნობთა შორის მუშაობას და სხვა.

თანამგრძნობთა შორის მუშაობა სუსტადაა დაყენებული, თანამგრძნობებზე მიმაგრებული ამხანაგები მუშაობას კარგად ვერ აწარმოებენ თანამგრძნობთა მომზადებისათვის პარტიაში შესასვლელად, რაც იმითაც დასტურდება, რომ დღემდე პარტიაში მისაღებად ერთი თანამგრძნობის მეტს არ შეუტანია განცხადება.

უნივერსიტეტში, კომუნისტების ავანგარდული როლი მოისუსტებს, 1936/37 სამოსწავლო წლის 1-ლ სემესტრში კომუნისტების საშუალო ნიშანი უდრის 3,91, კომკავშირელების 3.97 და უპარტიოების 3.93. თუმცა გასულ წელთან შედარებით კომუნისტების აკადემიური წარმატება გაზრდილია, მაგრამ, ეს ციფრები მაინც იმას ადასტურებს რომ პარტ-წევრ კანდიდატები სუსტად მუშაობენ აკადემიურ დარგში, სუსტია მათდამი დახმარება და საერთოდ ფრიადოსანთა შორის მუშაობაც.

უნივერსიტეტში ადგილი ჰქონდა აშკარა მავნებლურ მოქმედებას, რომელიც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ ვერ იქნა სათანადოდ შეფასებული. მაგ.: დაუმსახურებლად ნიშნების დაწერა, ნიშნების გადასწორება და ერთი სტუდენტის მიერ მეორის მაგიერ გამოცდების ჩაბარება, და სხვ. რასაც მომავალში უნივერსიტეტის რექტორატმა და პარტიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

გამოსულ მოკამათეების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ სტუდენტობა არაა უზრუნველყოფილი საჭირო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით; მაგ. მიმდინარე სამოსწავლო წლის მეორე სემესტრში 20 საგანში არ იყო პროგრამები. არსებული პროგრამებიც ტექნიკურად ცუდათაა დაბეჭდილი და ძვირია.

სალამი მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებს, რომელნიც პატიოსნად ასრულებენ თავის მოვალეობას საბჭოთა სამშობლოს წინაშე!

★

კამათი საქ. კ. პ. (ბ) თ.ს.უ. პარტორგანიზაციის საანგარიშო მოხსენების ირგვლივ

ამხ. ფეიქრიშვილი:

ამას წინად პარტიულ კრებაზე მივიღეთ გეგმა, სადაც დავალებები მხოლოდ პარტიულ კომიტეტის წევრებზე იყო განაწილებული, რაც იმის შედეგია, რომ პარტ. კომიტეტი ნაკლებად იცნობს ჩვენ პარტწევრ-კანდიდატებს.

პარტწევრ-კანდიდატებს აკადემიურ ფრონტზე არ გვიპირავს მაინცდა მაინც სახარბიელო მდგომარეობა. ხელმძღვანელები არ იცნობენ ფრიადოსან პარტწევრ-კანდიდატებს, არც პროფესორ მასწავლებლები იცნობენ ფრიადოსან სტუდენტებს.

პირადად მე პარტიული ორგანიზაცია ცოტას მეხმარება პარტიაში გადარიცხვის საქმეში.

ამხ. კოპალეიშვილი:

ფიზიოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელები ბერიტაშვილი და მისი მოადგილე გედევანიშვილი კრიტიკას და თვითკრიტიკას სისულელეს უწოდებენ. მათი მოპყრობა კადრებისადმი მოუთმენელია.

მათი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო მუშაკებისადმი, ფიზიოლოგიურ ინსტიტუტში იძულებული გახდა რამდენიმე საუკეთესო მუშაკი რომ თავი დაენებებია ინსტიტუტში მუშაობისათვის. ინსტიტუტში პარტიული კომიტეტი ერთხელაც არ მოსულა, არ გასცნობია მის მუშაობას. ერთი სიტყვით, პარტორგანიზაცია არ დაინტერესებულა ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობით.

კამათში გამოსული ამხანაგები მკაცრად აკრიტიკებდნენ უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის და ადმინისტრაციის მუშაობას.

კამათში მონაწილეობა მიიღო 22 ამხანაგმა. მოხსენების, კამათის და საბოლოო სიტყვის დამთავრების შემდეგ, პარტიული კომიტეტის მუშაობა მიღებული იქნა დამაკმაყოფილებლად (წინააღმდეგი იყო სამი ამხანაგი).

კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრა 11 კაცით. დასახელებული იქნა 55 ამხანაგი, აცილება მიიღო 15-მა და ფარული კენჭის ყრისათვის დარჩა 40 კანდიდატი. ფარული კენჭის ყრით არჩეული იქნენ პარტიულ კომიტეტის შემადგენლობაში შემდეგი ამხანაგები: ხობუა პ., ორაგველიძე კ., ჯანელიძე გ., გეგეჭკორი ვ., კვიცარიძე გ., მირიანაშვილი ვ., გოზალიშვილი ვ., ოჩიგავა ვ., ქერქაძე ვ., კობიძე ს., ქურციკიძე მ.

საქალაქო პარტ-კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებათ დასახელებული იქნა 52 ამხანაგი. ამათგან ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნა 19 ამხანაგი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 6 ამხანაგი სათათბირო ხმის უფლებით.

25 აპრილს შესდგა პარტიული კომიტეტის პლენუმის ახალი შემადგენლობის სხდომა, სადაც ფარული კენჭის ყრით პარტკომის მდივნად ერთხმად არჩეული იქნა ამხ. პ. ხობუა.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ვათავსებთ კამათში გამოსულ ზოგიერთ ამხანაგების ანგარიშს.

ამხ. ლევერაშვილი (მუშფაკი).

მუშფაკის პარტიულ ორგანიზაციას უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მიერ ნაკლები ყურადღება ექცევა.

პარტიული კომიტეტისაგან კრების მოწვევას მისი დაწყებიდან მხოლოდ რამდენიმე წუთის წინ ვგებულობთ. ამიტომ პარტკრებაზე ამხანაგები მოუმზადებელი მოდიან. ამიტომ ვერ ღებულობენ მონაწილეობას კამათში. მუშფაკის პარტორგანიზაცია ტერიტორალურად ეკუთვნის სტალინის რაიკომს, უნივერსიტეტის პარტორგანიზაცია კი, ორჯონიკიძის რაიკომს. ეს საქმე უნდა მოგვარდეს. პარტიულ კომიტეტს ერთხელაც არ შეუმოწმებია პოლიტწრეების მუშაობა მუშფაკში, ყოფილ პარტორგს, ამხ. ქორიძეს, არ ჩაუბარებია მისი მუშაობის ანგარიში პარტ-ორგანიზაციისათვის, ახალი ორგანიზატორი კი ისე დანიშნეს რომ არ გაუგია ორგანიზაციას. შემდეგ კი მოგვიანებით გააფორმეს მისი არჩევა.

ამხ. ქორიძე:

რაიკომის მიერ მოწყობილ პარტიულ კურსებზე ვერაფერ შედეგს ვღებულობთ იმის გამო, რომ კურსებს ნაკლები ხელმძღვანელობა ეწევა. ყოფილ კომკავშირელებს, რომლებიც გარიცხული იქნენ ჩვენი ფაკულტეტის ორგანიზაციიდან, განცხადებები შეაქვთ თბ. კომ-ში და სახელს უტეხენ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტს, მის დისკრედიტიზაციას ეწევიან. თბ. კომ-დან მომაგრებული ამხ. ლარიბოვი არაფერს აკეთებს, კომკავშირის კომიტეტს კაბინეტიდან სურს საქმის მოგვარება. კომკავშირის რაიკომმა და ჩვენმა პარტიულმა კომიტეტმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. ისტორიული ფაკულტეტის პარტორგანიზაციის კრებებზე მოსმენილია 8 პარტ-კანდიდატის თვით ანგარიში და მათთვის გამოტანილია ერთი დადგენილება, ისიც ფორმალური ხასიათის. ასევე ორგანიზაცია, კონტრრევოლუციონერ ტროცკისტის ცერცვაძის მუშაობას რეზოლუციაში ახასიათებდა არა ცუდად, ეს მაშინ, როდესაც 2—3 თვის შემდეგ იგი გამომჟღავნებული იქნა როგორც ხალხის მტერი. ძალიან ხშირად პარტიული კრების დაწყებისას ვეცნობით კრების დღის წესრიგს მაშინ, როდესაც წესით მისი გაცნობა უნდა ხდებოდეს სამიოთხი დღით ადრე.

ამხ. გოჭორიშვილი.

მუშფაკის პარტორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციაში შედის, პასიურია თავისი მუშაობით. საუნივერსიტეტო ორგანიზაციაში არ ჩანს მისი როლი. თანამგრძნობთა ჯგუფში ჩვენ მიერ დამტკიცებული ამხანაგები პარტიულ კომიტეტში დაგვიანებით მტკიცდება, ხშირად ჭიანურდება ეს საქმე.

კომკავშირის მუშაობა მუშფაკში სრულიად არ ჩანს, რაც უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის დაუხმარებლობის შედეგია. რაიკომის მდივანს ამხ. მირცხულავას ხშირად ვხედავთ აქ, უნივერსიტეტის პარტიულ კრებაზე. მაგრამ ამხ. ხობუა არც ერთხელ არ ყოფილა მუშფაკში პარტორგანიზაციის კრებებზე, რის გამო არც იცნობს მუშფაკის ორგანიზაციის მუშაობას. ჯიბრიშვილი პატიოსანი მუშაკია, იგი ყოფილი მოჯამაგირეა, მას პოლიტიკურად მოუმზადებლობის გამო ჩამოართვეს მანდატი და გარიცხეს პარტიის რიგებიდან, ჩემი აზრით ამ საქმეს უნდა მოკიდოს ხელი უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ.

სუსტია სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელობა მუშფაკის სასწავლო პროცესზე.

ამხ. მესხი.

აგიტატორთა მუშაობა არადამაკმაყოფილებელია, ერთ სემენარიაში გაერთიანებულია 80 კაცი, რაც არანორმა-

რეკომენდატორების ხელის მოწერის შემოწმებას რაიკომში ძლიერ აგვიანდება.

ამხ. კირპიჩოვი.

უნივერსიტეტის გაზეთი „ბოლშევიკური კადრებისათვის“ არასისტემატიურად გამოდის. ვერც კედლის გაზეთები უპასუხებენ თავიანთ ამოცანებს. სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის შემოწმება არ ხდება. ეს უბანი რატომღაც მივიწყებულია.

კომკავშირის ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობას.

ეხლა მაინც დროა სასწავლო ნაწილმა პროგრამებით უზრუნველყოს უნივერსიტეტი.

ამხ. ოჩიგავა:

უნივერსიტეტის ორგანიზაციაში ირიცხება 2300 კომკავშირის წევრი, ასეთ დიდ ორგანიზაციაში შესაძლებლობა არსებობს გაიშალოს საინტერესო მუშაობა, მაგრამ სამწუხაროდ, კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობა დღემდის არადამაკმაყოფილებელია.

მოუწესრიგებელია კომკავშირის მეურნეობა. კომკავშირის ორგანიზაციამ გარიცხა თავის რიგებიდან გაიძვერა ტროცკისტები: ჩიკვატია, ჩიჩუა, ფაჩულია, ჯიოევი, ბერაია გრიგოლ და სხ.

კომკავშირის უნივერსიტეტის ორგანიზაციაში თავის სიმაღლეზე არ დგას კრიტიკის და თვითკრიტიკის საქმე.

ამხ. ბოლქვაძე.

პარტიულ ორგანიზაციაში დარღვეული იყო დემოკრატიული პრინციპი, ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ პარტიული კომიტეტი ბოლომდე კოოპტაციის წესით იყო შევსებული. პარტორგები მალაზონია, სინაურიძე, მამალაძე არჩეულები არ ყოფილან. დარღვეულია დემოკრატიული პრინციპი კომკავშირის კომიტეტში და ალმასბიუროში. სუსტია ახალგაზრდა მეცნიერ კადრებთან მუშაობა. დარღვეული იყოდემოკრატიული პრინციპი მუშფაკში, რის შესახებ წერილი დავწერე, მაგრამ რატომღაც მისი გამოქვეყნება „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქციამ არ ისურვა.

ქურციკიძე მ.

ახალ პროპაგანდისტებს პარტკომმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. ამხ. ხობუა ხშირად გვესწრება: პოლიტმეცადინეობაზე, სემინარებზე, მაგრამ ეს არ კმარა. კომიტეტმა მოისმინა ჩემი თვით ანგარიში, მაგრამ მის შედეგად გამოტანილი დადგენილების შესრულების შემოწმება არავის მოუხდენია.

კარგი იქნებოდა, რომ პარტიულ კომიტეტს ჩვენი კლუბისათვის მოეგონებინა რომ მას ეჩვენებინა სტუდენტებისათვის ამხანაგ **სტალინის** მოხსენება საბჭოების მე-8 საგანგებო ყრილობაზე. სადეპუტატო ჯგუფის მუშაობას არ ექცევა სათანადო ყურადღება, რაზედაც საჭიროა პარტიულმა კომიტეტმა ხელმძღვანელობა გააძლიეროს.

ზაქრო დოლიაშვილი

პირველი მაისი

პირველი მაისი! პირველი მაისი!—
ხარობს და ზეიმობს დიდი და პატარა,
—გამოდით, გამოდით! საყვირის ხმა ისმის!
დაიწყო ქუჩებში დროშების გატანა!..

ქალაქი, წითელი ვარდივით ელვარებს,
სახლებზე ფანჯრები მზესავით ბრწყინავენ,
რადიოს შორს მიაქვს ტალღები მღელვარე—
ქუჩებში შეიჭრა ზღვა ხალხის მდინარე!..

მოჰყვებათ ღიმილი მზესავით ნათელი,
ღიმილი, რომელიც შრომაში შობილა,
ეს ის ხალხია, ამ ქვეყნის მართველი,
რომლებიც ტანჯულ დროს მონებად ყოფილან!.,

რომ მქონდეს ისეთი ძალა და მხნეობა,
ციდან მზე ეტლებით ძირს, ჩამომეყვანა,
მიწიდან—ზეცისკენ არ აიწეოდა,
რადგანაც მზე არის სტალინის ქვეყანა!..

შორეულ ჯურღმულებს მნათობი ანათებს,
ჯურღმულში ბობოქრობს მრისხანე გრიგალი,
ეთხრება სამარე ცოფიან ჯალათებს—
ცასავით მაღალი, ზღვაური სიგანის...

პირველი მაისი! პირველი მაისი!—
ქუჩებიც პირველი მაისის ფერია,
გარშემო სიმღერის მწყობრი ხმა გაისმის,
მღერის და ზეიმობს სტალინის გენია!..

ფრიადოსნები: ქ. ძიძიგური, ელ. სამსონია, ნ. ქვანია, შ. ხარაძე.

ენათმეცნიერებათა კანდიდატი

(ამხ. მ. ჩხენკელი)

23 მარტს შესდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც დისერტაციის საჯარო დასაცავად გამოვიდა ამხ. **მიხეილ პორფილესძე ჩხენკელი**. სადისერტაციო შრომის სათაურია **„ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევა 900-იან წლებში და აკად. ნ. მარრი“**. მიხ. ჩხენკელის მოკლე შინაარსიანი შესავლის შემდეგ, სიტყვებით გამოვიდნენ ოფიციალური ოპონენტები პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. იუსტ. აბულაძე. ოპონენტების აზრით, სადისერტაციო შრომაში დასმულია საყურადღებო პრობლემები, რომელთა შესახებაც 900-იან წლებში გაცხოველებული კამათი და პოლემიკა მიმდინარეობდა. დისერტანტს სწორად აქვს გაშუქებული ისტორიული სინამდვილე და ორიგინალურად გადმოსცემს იმ გზებს, რომელიც გაიარა ფილოლოგიურმა მეცნიერებამ ჩვენში. დისერტაციისათვის განკუთვნილ დროის მონაკვეთში ამხ. ჩხენკელი ახასიათებს აკად. ნ. მარრის მეცნიერულ გზას, იხილავს მის ამ პერიოდის შრომებს და იძლევა მრავალ საყურადღებო ახსნა-განმარტებებს ქართულ-მეგრულ-ჭანურ ენათა ურთიერთობიდან. სადისერტაციო შრომა ახლებურ გაშუქებას აძლევს მეგრული ენის ზოგიერთ თავისებურებებს და ამავე დროს იძლევა ისეთ ენობრივ მოვლენათა მიმოხილვას, რომლებიც აქამდე შემჩნეული არ ყოფილა მკვლევართაგან. ოპონენტებმა სადისერტაციო შრომის მიღწევებთან ერთად აღნიშნეს ნაკლი და წამოაყენეს ზოგიერთი საკამათო დებულებები, რომელზედაც დისერტანტმა პასუხი გასცა.



საჯარო დაცვის შემდეგ ფილოლოგიური ფაკულტეტის საკვალიფიკაციო საბჭომ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა, როგორც დაცვა, ისე სადისერტაციო შრომა და ამხ. მ. ჩხენკელს მიანიჭა მეცნიერების კანდიდატის ხარისხი.

ამხ. მიხ. პორფილესძე ჩხენკელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ენათმეცნიერთა თვალსაჩინო წარმომადგენელია. ის დაიბადა 1909 წ. 1932 წელს დაასრულა სახ. უნივერსიტეტი და აკად. ნ. მარრის წინადადებით ჩაირიცხა ასპირანტურაში. 1934 წელს მივლინებულ იქნა ლენინგრადში სამეცნიერო აკადემიაში ასპირანტურის კურსის გასავლელად, სადაც ის წარმატებით მუშაობდა აკად. ი. მეშჩანინოვის ხელმძღვანელობით. ამხ. ჩხენკელმა ასპირანტურა წარმატებით დაასრულა გასულ წელს. გარდა სადისერტაციო შრომისა მას დაწერილი აქვს რამდენიმე მეცნიერული გამოკვლევა: „გაკვრით სადაო საკითხებზე“, „ლ ბგერის შესახებ მეგრულში“ და სხვ.

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

მიმდინარე წლის 30 მარტს გეოგრაფ გეოლოგიური ფაკულტეტის საჯარო სხდომაზე ამხ. **ივანე ვასილის-ძე ჩარქვიანმა**, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მრეწველობის გეოგრაფიული განლაგების პრობლემა“.

დისერტაციის დაცვაზე ოფიციალურ ოპონენტებად გამოვიდნენ პროფ. გ. გეხტმანი და პროფ. ტ. ათაბეგოვი, ოპონენტებმა აღნიშნეს სადისერტაციო შრომის ღირსება-ნაკლოვანებანი, დაეთანხმნენ დისერტანტს ყველა საკვანძო პრინციპიალურ საკითხებში და სადისერტაციო შრომა ღირსეულად სცნეს მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოებლად. გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭომ, რომლის სხდომას დაესწრო სახუნტის პრორექტორი ამხ. გრ. ჯანელიძე, განიხილა და შეაჯამა დისერტაციის დაცვის შედეგები. იგი სცნო დამაკმაყოფილებლად და ერთხმად აღძრა შუამდგომლობა უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე ამხ. ივანე ჩარკვიანისათვის გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭების შესახებ. ამასთან ერთად საბჭომ აღძრა საკითხი რექტორის წინაშე ჩარკვიანის შრომის დაბეჭდვისათვის.

ამხ. ი. ვ. ჩარკვიანი დაიბადა 1911 წელს სოფელ გალმაზონათში (აბაშის რაიონი). 1928 წელს დაამთავრა ფრიად დამაკმაყოფილებლად აბაშის ცხრაწლიანი შრომის სკოლა, იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1932 წელს დაამთავრა საქ. ეკ. ინ-ტი და პროფ. გეხტმანის შუამდგომლობითა და სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდეგ, დატოვებულ იქნა ასპირანტად ეკ. გეოგრაფიის კათედრასთან ასპირანტურაში ყოფნის დროს ამხ. ჩარკვიანი ითვლებოდა მოწინავეთ — რამდენჯერმე იყო დაჯილდოვებული აკადემიური წარჩინებისათვის. 1936 წელს ამხ. ჩარკვიანმა წარჩინებით დაამთავრა ასპირანტურა და იმავე წელს იგი გაგზავნილ იქნა მოსკოვში სამეცნიერო მივლინებაში, სადაც აგრძელებდა მუშაობას დისერტაციაზე.

ამხ. ჩარკვიანი 1934 წლიდან დამოუკიდებლივ ხელმძღვანელობს გეოგრაფიის კურსს ა.-კ. და საქართველოს კომ. უმაღლ. სას. სამ. სკოლაში, სადაც დღემდე ითვლება საუკეთესო კ. კავშირულ ლექტორად და სისტემტურად და პირნათლად ასრულებს პარტიისა და კ. კ. დავალებებს. მისი რეცენზიები და სტატიები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ „საქ. სოც. მეურნეობაში“. ამხ. ჩარკვიანის შრომა „ბურჟუაზიული გეოგრაფია და მისი უახლოესი წარმომადგენლები“, იბეჭდებოდა უნივერსიტეტის „შრომებში“. ამხ. ჩარკვიანი აქტიურ მონაწილეობას იღებს „საქართველოს ეკ. გეოგრაფიულ ნარკვევების“ შედგენაში, მზად აქვს ოთხი რაიონის (ცხაკაიას—ზუგდიდის, გალის და ხობის) მრეწველობის ეკ. გეოგრაფიული მიმოხილვა.

შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში

5—6 აპრილს ჩატარდა შეჯიბრი ქართულ ჭიდაობაში სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველობისათვის. შეჯიბრში მონაწილეობას ღებულობდნენ 15-ზე მეტი სხვადასხვა წონის სტუდენტი მოჭიდავეები. მჩატე წონაში პირველი ადგილი დაიჭირა ამხ. ვ. სუმბაძემ, (ფიზკულტ. ფაკულტეტი), რომელმაც მთელი შეჯიბრი დაუმარცხებლად ჩაატარა. მეორე ადგილზე გამოვიდა გ. მიქელაძე (ფიზკულტ. ფაკულტეტი). მესამეზე—რაქვიაშვილი (ეკ. ფაკულტეტი).

მსუბუქ წონაში უკანასკნელი წყვილის გ. მანჯავიძის და ა. სისაურის (ორთავე ფიზკ. ფაკულტეტი), შორის ჭიდაობა სწყვეტდა პირველობის საკითხს. გასულ წელს პირველი ადგილი ეკავა სისაურს. მოსალოდნელი იყო, რომ წელსაც სისაური დაიჭერდა პირველ ადგილს, მაგრამ მანჯავიძემ კარგად გამოიყენა სისაურის მიერ არა ზუსტად ჩატარებული ხრიკი და წუთ ნახევარში გამარჯვება მას დარჩა. ამრიგად, პირველ ადგილზე მსუბუქ წონაში გამოვიდა ამხ. გ. მანჯავიძე, მეორეზე სისაური და მესამეზე—ამხ. როინიშვილი (ეკ. ფაკ.).

საშუალო წონაში პირველი ადგილი დაიჭირა ამხ. ტყემალაძემ, მეორე და მესამე ადგილი გაიყვეს გიგანმა (ფიზკ. ფაკ.). და გორგიშელმა (ეკ. ფაკ.).

ნახევრად მძიმე წონაში პირველ ადგილზე ღირსეულად გამოვიდა ახალგაზრდა მოჭიდავე ამხ. კაკაურიძე (ფიზკ. ფაკ.), მეორე დ. ალადაშვილი (ფიზკ. ფაკ.). მესამეზე—ლონლაძე (ისტორიული ფაკ.).

უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრისათვის არ იყო ყველა საჭირო ინვენტარი მომარაგებული. მთელ მონაწილეთათვის 3—4 ჩოხა იყო მხოლოდ. ლეიბები არ იყო საკმაო რაოდენობით, სქელ ლეიბებზე მიდგმული იყო თხელი და ზეწარი არ ფარავდა მთელ საჭიდაო ფართობს. საჭიროა ფიზკულტურის მთავარმა ხელმძღვანელობამ ყურადღება მიაქციოს ამ მდგომარეობას.

ანდრო გაფრინდაშვილი.

უღირსი ჯგუფხელი

ბევრი რამ არის დამოკიდებული ჯგუფხელზე ჯგუფის წარმატებების საქმეში, მაგრამ ეს პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო ეკ. ფაკ. 173 ჯგუფის ხელმძღვანელმა გრ. ქარჩავამ. მისი უხეირო ხელმძღვანელობის შედეგად ჩაიშალა ჯგუფში სოცშეჯიბრი. ლექციების გაცდენის რეკორდი დაამყარა ამ ჯგუფმა. სულ სემესტრში გაცდენილია 1668 საათი. წესრიგს თვით ჯგუფხელი არღვევს, აი ფაქტი:

ამას წინად მან „დასარტყმელად“ „დუელში“ გაიწვია სტ. დ. ორდინელი, მას ინტრიგა და კინკლაობა აქვს ჯგუფში და თვით სამკუთხედის წევრებს შორისაც (ფაჩულია, ვაჩეიშვილი). ის ურცხვად ყველას შესჩივის: გამომცვალეთ ჯგუფხელობიდან თორემ, სანამ მე ვიქნები ჯგუფხელად 173 ჯგუფში, გამარჯვებას ვერ მოესწრებითო.—მაგრამ რატომღაც მისი ასეთი განცხადებაც უყურადღებოდ რჩება.

ჩვენ მოვითხოვთ უღირსი ჯგუფხელის დაუყოვნებლივ შეცვლას.

გაზეთ „ბოლშევიკური კადრებისათვის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის № 13 (13 აპრილი, 1937 წ). მოთავსებულ წერილში „ცუდათ მუშაობენ“, აღნიშნული დეფექტების შესახებ რუსთველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექცია გაცნობებთ:

1. წერილში აღნიშნული ფაქტი, რომ სექციების მუშაობა ჯერ კიდევ არაა გარდაქმნილი, და სექციები ვერ გვაძლევენ სათანადო მეცნიერულ პროდუქციას,—მართალია, რისთვისაც ინსტიტუტის დირექციამ დაამუშავა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებებისა

2. წერილში აღნიშნული ფაქტი. რომ დ. ვირსალაძე ინსტიტუტში არ მუშაობდა, სწორია. ის 1 აპრილიდან აღარ ითვლება ინსტიტუტის თანამშრომელთა შტატში და გადაყვანილია ხელშეკრულებაზე.

3. წერილში აღნიშნული ფაქტი, რომ გეგმები დგებოდა სექციის წევრთა სურვილის მიხედვით—ინსტიტუტის განვლილ მუშაობას ეხება. ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი, მაგრამ სექციების ახალი გეგმები შედგენილია გარკვეული პრობლემების მიხედვით.

4. სრულიად არანორმალური იყო, რომ ინსტიტუტის შრომები ინსტიტუტის სანქციის გარეშე ზოგჯერ იბეჭდებოდა სხვადასხვა ორგანოებში, რაც დირექციის დადგენილებით კატეგორიულად აიკრძალა. ამჟამად ინსტიტუტს მზად აქვს გამოსაცემად ილია ჭავჭავაძის კრებული. ამზადებს შოთა რუსთველის კრებულს და აგრეთვე სექციების მიხედვით ცალკე კრებულებს,

5. სამუშაო დროს და ადგილის ზუსტად გამოუყოფლობა აიხსნება, ინსტიტუტის მუშაობის სპეციფიკური პირობებით (ინსტიტუტს არ აქვს სამუშაო ბაზა, ინსტიტუტ[illegible] არაა ბიბლიოთეკა. ხელნაწერები, ძალიან ვიწროდაა ბინის მხრივ). ამიტომ სამეცნიერო თემების დამუშავება ინსტიტუტის თანამშრომლებს უხდებათ სხვა ადგილას (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და კაბინეტებში, საქართველოს მუზეუმში, ცენტრარქივში, მწერალთა მუზეუმში).

საერთოდ წერილში ბევრი ისეთი ფაქტებია აღნიშნული, რომლებიც ინსტიტუტის განვლილ მუშაობას შეეხება ეს დეფექტები სწორდება. ინსტიტუტის დირექციამ ამ წერილის საფუძველზე 15 აპრილს, მოიწვია თათბირი და მიიღო კიდევ მთელი რიგი ღონისძიებათა ინსტიტუტის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ინსტიტუტის დირექტორი:
ა. დუდუჩავა.



თ. ს. უ. თეატრმა მორიგ პრემიერად დადგა „იმედის დაღუპვა“. სურათზე: პიესის უკანასკნელი აქტი. დადგმა გ. ლომაიასი.

დ. გედევანიშვილის „საქმენი საგმირონი“

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურ ინსტიტუტს ჰყავს თავისი სწავლული მდივანი—დიმიტრი გედევანიშვილი. მკითხველი იფიქრებს, რომ იგი ამ საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობას კეთილსინდისიერებითა, საქმის სიყვარულითა და მოვალეობის ღრმა შეგნებით ასრულებსო. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. მის მუშაობას არაფერი აქვს საერთო საბჭოთა მეცნიერულ საზოგადოების ინტერესებთან და საერთოდ მეცნიერებასთან.

დ. გედევანიშვილის სამუშაო პრაქტიკით, სწავლული მდივნობა უპირველეს ყოვლისა ოქმის წერას ნიშნავს მხოლოდ, (რასაკვირველია ისიც ზოგჯერ), და წელიწადში ერთხელ სამეცნიერო მუშაობის გეგმის შედგენას. ეს არის და ეს. რაც შეეხება ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობაში თანამშრომლებს შორის ნამდვილ ადამიანურ განწყობილების დამყარებას, ზრუნვას ადამიანებზე, მათთვის ხელმძღვანელობის გაწევას და დახმარებას, საღი კრიტიკის დამკვიდრებას და თვითკრიტიკის გაშლას, რის საფუძველზედაც მუშაობის გარდაქმნა უნდა ხდებოდეს, - ყოველივე ამას ინსტიტუტში ვერ ნახავთ. ამის მაგიერად გედევანიშვილი ანხორციელებს თანამშრომლებზე პირადი ზედმოქმედების ტერორს, მორალურ დაფიზიკურ შეურაცყოფის მეთოდებით, ყოველდღიური ლანძღვა-გინებით, მუშტი-კრივით, დაცინვით, აბუჩად აგდებით და მუქარით.

თუ მას დაუმატებთ იმას, რომ გედევანიშვილი ინსტიტუტის ქონებასაც ანიავებს სხვადასხვა აპარატების სახლში წაღებით და ფიქტიურ მივლინებათა მიღებით მრავალ ათას მანეთებს ითვისებს, მისი „სამეცნიერო მუშაობის“ სურათი ნათელი იქნება. გადავიდეთ თვით კონკრეტულ ფაქტებზე:

1. იარაღებისა და ხელსაწყოების გაცემას გედევანიშვილი თვითნებურად, ყოველგვარი წესის გარეშე აწარმოებს; და რაც მოეწონება სახლში მიაქვს. ასე უნდა დამართოდა საიმპორტო ინდუქტორიუმს, აკუმულატორს და სხვ. რომელნიც გედევანიშვილმა ინსტიტუტის ქონების აღწერის დროს გადამალა, სახლში მიჰქონდა და რომ შემთხვევით გზაში არ ენახათ, ეხლა დაკარგული იქნებოდა.

2. გედევანიშვილის მხრით დევნის მუდმივ მსხვერპლებს წარმოადგენენ **ლეჟავა, კარტოზია, ძიძიშვილი, ჭიჭინაძე** და სხვები, რომელთაგან კარტოზია, რომელიც ერთერთ მოწინავე მეცნ. მუშაკათ ითვლება, იძულებული გახდა ინსტიტუტის მიტოვება გადაეწყვიტა, რომ თავი დაეღწია გედევანიშვილისათვის. გედევანიშვილმა მის მეცნ. ნაშრომს საჯაროთ სულელური უწოდა. ნამდვილად კი აღნიშნული შრომა პროფ. **ბერიტაშვილმა** საპრემიოდ წარადგინა რექტორატში და ჯილდოც მიაღებინა.

3. კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფა გედევანიშვილის ყოველდღიურ საქმიანობას ახასიათებს. მაგ. 7 და 9 აპრილს მან კრებაზე პირდაპირ განაცხადა, რომ „კრიტიკა და თვითკრიტიკა“ ეს ზოგადი საქმეა და ამაზე „ლაპარაკი სისულელეაო“—რის შემდეგაც კრებაც მიატოვა თუმცა „გამბედაობამ„ უღალატა და ისევ უკან მობრუნდა.

4. გედევანიშვილის „უნარი“ განსაკუთრებით „ფინანსიურ პრობლემის“ მოგვარებაში იჩენს თავს. მაგ. მოსკოვ-ლენინგრადში სახკომსაბჭოსა და რექტორატის ნებართვის გარეშე, პირადიმიზნებით გაისეირნა სახელმწიფო ხარჯზე, ქართული ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით. ამავე დროს, რადგან ერთი დაწესებულებიდან აღებული მივლინება სეირნობის ყველა ხარჯებს ვერ დაფარავდა, პარალელურად მან ასეთივე „დასაბუთებული“ მივლინება მედინსტიტუტიდანაც აიღო 5 იანვრიდან 5 თებერვლამდე (ბრძ. № 3).

სეირნობის ფინანსიური შედეგები ასეთია: ფიზიოლოგიური ინსტიტუტიდან 1300 მანეთი, მედინსტიტუტიდან 1062 მან. მეტი არ იქნება მოვიგონოთ მსგავსივე ფიქტიური მივლინება ფიზიოლოგთა საერთაშორისო კონგრესთან დაკავშირებით, როდესაც 15 ივლისიდან აიღო მივლინება და ტფილისში კი 29 ივლისამდე იყო.

5. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტი. გედევანიშვილს ჯერ კანდიდატის ხარისხიც არ ჰქონდა, მაგრამ ინსტიტუტიდან 1936 წლის 1 იანვრიდან ხელფასს 750 მანეთს იღებდა, და იმავე დროს 4 სხვადასხვა ადგილზე მუშაობდა ერთდროულად და ინსტიტუტში მხოლოდ 2-3 საათს ცხადდებოდა.

ჩვენ გვგონია ყოველივე აღნიშნულის შემდეგ საჭირო იქნება შეჯამდეს ამ „სწავლული“ „გმირის“, მოღვაწეობა, დასკვნა გაუკეთდეს მის „უნარებს“ და ფაქტებს, მთლიანად გამომჟღავნდეს მისი მახინჯი სახე და ბოლოს ანგარიში გაეწიოს ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტიურ და სამართლიან სურვილს — ალაგმული იქნეს ეს „სწავლული“ ინსტიტუტიდან, რაც ერთადერთი საშუალება იქნება ინსტიტუტში ნორმალური მუშაობის წარმოებისათვის.

დრ. პასუხისმგებელი
რედაქტორი: ვ. მ. ცინცაძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია
მთავლიტის რწმუნებული № 1461